პროექტის სახელწოდება

არსებული შენობების დემონტაჟი

დემონტაჟის ორგანიზების პროექტი

ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, ქუჩა ზემო ვეძისი №81; ქ. თბილისი, ქუჩა ზემო ვეძისი №81-ის მიმდ.

დამკვეთი: შ.პს. "ბპ კომპანი" (400007817)

შემსრულებელი: შპს "მეტი"

არქიტექტორი: ლევან მასურაშვილი



მისამართი: ზესატაფონის ქუჩა №15

ტელ: 555 34 12 10

არსებული შენობის დემონტაჟი

1) სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება
სადემონტაჟო ობიექტის მისამართია ქ. თბილისი, ჯუჩა ზემო ვეძისი, №81; ქ. თბილისი, ჯუჩა ზემო ვეძისი №81-ის მიმდ. (ს.კ 01.10.12.003.138). ამჟამად ნაკვეთზე განთავსებულია ორი ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომლებიც ექვემდებარება დემონტაჟს.

სადემონტაჟო შენობების ფართი გარე კონტურზე შეადგენს: 195.6 მ^2
მოცულობა შეადგენს: 645.5 მ^3

2) დემონტაჟის საინჟინრო მომზადება და მისი წარმართვის ეტაპები
მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:

- დავალება დემონტაჟზე
- რაიონის სიტუაციური გეგმა
- ტოპოგრაფიული ნახაზი და საკადასტრო გეგმა
- ობიექტის დათვალიერება
- არსებული ფოტომასალა

დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად. სამუშაოების დაწყება დასაშვებია საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურიდან სათანადო ნებართვის აღების შემდეგ. მოსამზადებელ პერიოდში უნდა მოხდეს სადემონტაჟო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი წყლითა და ელექტრო ენერგიით. სასურველია სამუშაოების დაწყებისას ტერიტორია გაიწმინდოს არსებული ნაგავისაგან. სამუშაოების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული:

- ყველა კონსტრუქციის დროებითი გამაგრება.
- მუშების სათანადო ინსტრუქტაჟი
- მუშების უზრუნველყოფა სპეციალური ტანსაცმლით და სათვალეებით.
- ნაგვის გატანა სპეციალური ავტოთვითმცლელების საშუალებით.
- აქტის შედგენა ძირითადი პერიოდის სამუშაოების შესახებ.

შენობის დაშლა განხორციელდება საავტორო და ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ.

3) დემონტაჟის წარმოების წესები და მეთოდები
მშენებლობის ორგანიზაცია და სადემონტაჟო სამუშაოთა წარმართვა უნდა მოხდეს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისობით.
ქვემოთ ჩამოთვლილია მოქმედი ნორმები და წესები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს სამშენებლო ფირმამ სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების დროს;

- სნ და წ 111-4-80 ,,უსაფრთხოების ტექნიკაში,,;
- სახანძრო უსაფრთხოების წესები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების დროს;
- სნ და წ 1.06.05-85 ,,მშენებლობისადმი საავტორო ორგანიზაციების მიერ საავტორო ზედამხედველობა,,;

აგრეთვე საჭიროა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული შემდეგი კანონებით ხელმძღვანელობა:

- გარემოს დაცვის თაობაზე, 1996 წელი;
- წყლის გამოყენების შესახებ, 1997 წელი;

დემონტაჟის დაწყებამდე მოხდება ტერიტორიის იზოლირება დროებითი ღობით. მოეწყობა დროებითი საძირკვლის არ მძონე შენობა-ნაგებობები. სამშენებლო მტვრის გაბნევისაგან თავის დასაცავად დაინამება დაშლის ადგილები.

შენობის დემონტაჟი უნდა მოხდეს მიმდევრობითი მეთოდით, ზევიდან - ქვევით. თავდაპირველად მოხდება შენობიდან კარ-ფანჯრების მოხსნა, შემდეგ სახურავის მოხსნა და კედლებისა და სართულშუა გადახურვების დემონტაჟი, ბოლოს საძირკვლის დემონტაჟი. სამუშაოების ყოველ ეტაპზე მოხდება სამშენებლო ნაგვის გატანა. ავარიული სიტუაციის შემთხვევაში უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება და ყველა საჭირო კონსტრუქციის გამაგრება.

ზესტაფონის ქ. №15 ტელ: 555 34 12 10	დირექტორი	გ. ხარჟიშვილი		03. 2
	არქიტექტორი	ლ. მესხორაშვილი		
	დამკვეთი	"ბპ კომპანი"		2022

არსებული შენობის დემონტაჟი

4) რეკომენდებული სამშენებლო მანქანა-დანადგარები

№	დასახელება	ერთ. განზომ.	რაოდენ. ცალი
1	სანგრევი ჩაქუჩები	ც	10
2	ავტოთვითმცლელები 10 ტ - იანი	ც	3
3	ხელის მოწყობილობები და ინსტრუმენტები: ნიჩბები, ბარები, ლომები, წერაქვები და სხვა.	კომპ.	10

ცხრილში მოცემულია რეკომენდებული ტექნიკური საშუალებები, მანქანა-დანადგარები და ინსტრუმენტ-მოწყობილობები, რომელიც შესაძლოა შეიცვალოს ანალოგიურით ან უფრო თანამედროვე საშუალებებით.

5) მშენებლობაზე შრომისა და ელექტროუსაფრთხოების წესების დაცვა
მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე უნდა იყოს დაცული თანახმად ,,სნ და წ 111-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში,, და სხვა ნორმატიულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე.

- სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.
- სამშენებლო ნაგვის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე უნდა წარმოებდეს ხელით.
- ზოგიერთ სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს და თავსაბურავებს.

6) ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები
დემონტაჟისას აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები მიმდინარე ტერიტორიის დამტვერიანებისაგან თავის ასაცილებლად. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ნაგვის ჩაყრა უშუალოდ თვითმცლელი ავტომანქანების ძარაში.

დაუშვებელია არსებული საკანალიზაციო ჭაბში მილსადენების ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

ასევე არსებული საკანალიზაციო ქსელის პირობებში მიზან- შეწონილად ვერ ჩაითვლება დროებითი ტუალეტის მოწყობა ამოსახაპ ორმოზე. მათი დროებითი ჩართვაც სასურველია საკანალიზაციო კოლექტორში.

7) მოპ-ის შედგენის ნორმატიული ბაზა

სნ და წ 3. 0.1 0.1-85 ,,სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია,,.

სნ და წ 1. 0.4 0.3-85 ,,მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები საცხოვრებელი სახლები მშენებლობაზე,,.

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შედგენის ეტალონი სამხრეთის მთიანი რაიონებისათვის.

კრებული-სამახსოვრო ,,სამშენებლო წარმოების ნორმები და წესები,,ამონაკრები მოქმედი სამშენებლო ნორმებიდან და წესებიდან,, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს გამოცემა, თბილისი, 1987 წელი ქართულ ენაზე.

სნ და წ III - 4-80 ,,უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაზე,,.

ზესტაფონის ქ. №15
ტელ: 555 34 12 10

დირექტორი	მ. ხარაზიშვილი	
არქიტექტორი	ლ. მასურაშვილი	
დამკვეთი	"ბპ კომპანი"	

2022



ზესტაფონის ქ. №15 ტელ: 555 34 12 10				
	დირექტორი	მ. ხარაზიშვილი		გვ. 3
	არქიტექტორი	ლ. მასურაშვილი		
	დამკვეთი	"ზკ კომპანი"		2022

METI
GEORGIA. "METI" LTD

შემსრულებელი: შ.პ.ს "მეტი"
დირექტორი: მამუკა ხარაზიშვილი
არქიტექტორი: ლევან მასურაშვილი

მისამართი: ზესტაფონის ქუჩა №15 ტელ: 555 341210

მშენებლობის ორგანიზების პროექტი

ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, ქუჩა ზემო ვეძისი №81; ქ. თბილისი, ქუჩა ზემო ვეძისი №81-ის მიმდ.

დამკვეთი: შ.პს. "ბპ ჯორჯიანი" (400007817)

ქ. თბილისი
2022 წელი

დირექტორი	მ. ხარაზიშვილი	
არქიტექტორი	ლ. მასურაშვილი	

შინაარსი

I	განმარტებითი ბარათი		
	1	საერთო ნაწილი	3.2
	2	სამშენებლო პირობების დახასიათება	
	3	სამშენებლო ობიექტის დახასიათება და ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები	
	4	სამშენებლო მოედნის ორგანიზაცია	3.3
	5	სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები	
	6	მშენებლობის განხორციელების პროცესის რიგითობა და ეტაპები	3.4
	7	ხანგრძლივობის დადგენა	
	8	უსაფრთხოების ტექნიკა	3.5
	9	გარემოს დაცვის ღონისძიებები	
II	სამშენებლო მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოთხოვნილებათა უწყისი		3.6
III	გამოყენებული ლიტერატურა		
IV	მშენებლობის წარმოების გრაფიკი		3.7
V	ტოპოგეგმაზე დატანილი დეტალები		3.8



I - განმარტებითი ბარათი

1. საერთო ნაწილი

ა. მშენებლობის ორგანიზების პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:
- დავალება პროექტირებაზე;
- პროექტირებით მიღებული არქიტექტურული და კონსტრუქციული გადაწყვეტები;
- რაიონის სიტუაციური გეგმა;
- გეოდეზიური გეგმები და პროფილები;
- გეოლოგიური და ჰიდრო გეოლოგიური გამოკვლევების მონაცემები;
ბ. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ხანძარფეთქებადი უსაფრთხოების) შესაბამისად. ნორმატიული დოკუმენტის ჩამონათვალი მოცემულია III თავში (გამოყენებული ლიტერატურა), აგრეთვე შესაბამის თავებში და ქვეთავებში.

2. სამშენებლო პირობების დახასიათება

საპროექტო ობიექტის გამიზნული ტერიტორიის მისამართია: ქ. თბილისი ჟუჩა ზემო ვეძისი №81; ქ. თბილისი, ჟუჩა ვეძისი №81-ის მიმდებარედ. (სააკ. კოდი: 01.10.12.003.138) ამჟამად ნაკვეთზე განთავსებულია ორი ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი 02(1) და 01(1)

არსებულ მოედანზე, ხორციელდება არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი და 4 (ოთხი) სართულიანი ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრბელი სახლის მშენებლობა.

3. სამშენებლო ობიექტის დახასიათება და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები

საპროექტო შენობა წარმოადგენს როგორც კონსტრუქციული ისე არქიტექტურული თვალსაზრისით ოთხ სართულიან ინდივიდუალურ ორბინიან საცხოვრებელ სახლს, რომელსაც არ გააჩნია სარდაფის და მანსარდის სართული. გეომეტრიული თვალსაზრისით შენობა სამკუთხა ფორმისაა (ზომით 30.38 X 18.40 მ) ფილის ზედაპირიდან მეორე ფილის ზედაპირამდე სიმაღლე შეადგენს 3.30 მეტრს, ხოლო შენობის დასრულების შემდეგ მისი მაქსიმალური სიმაღლე 0.00 ნიშნულიდან იქნება 11.3 მეტრი. ხოლო კონსტრუქციული სიმაღლე იქნება 14.3 მეტრი.

საპროექტო შენობის მზიდი ელემენტები განხორციელდება შემდეგი კონსტრუქციებისაგან:

საძირკვლები: - რკ/ბეტონის მონოლითური ლენტური ზომით 40X110 სმ.

არმირება 16/18-იანი არმატურა,

რიგელები და სვეტები: - რკინა ბეტონის რიგელები 40X50 სმ, სვეტები 40X40 სმ;

არმირება 10/12/18-იანი არმატურა.

გადახურვის ფილები: - სართულშუა მონოლითური, ორმაგი არმირებით 20 სმ სისქის; არმირება 16/18-იანი არმატურა.

კარკასის შემავსებელი: - სამშენებლო ბლოკის წყობით ნაშენი კედლები, გარე პერიმეტრზე გამოყენებული 300X400X200 მმ. ხოლო ტიხრებად 200X400X200 მმ.

სართულის დაკავშირება: - მონოლითური რკინაბეტონის კიბე.

შენობის გადახურვა: - მონოლითური რკინაბეტონის ფილა.

უზრუნველყოფა: - ელექტროენერგიის და საინჟინრო კომუნიკაციების ქსელები.

სამშენებლო მოედანზე შეყვანილი არის.



4. სამშენებლო მოედნის ორგანიზაცია

ა. სამშენებლო მოედნის ორგანიზაცია გულისხმობს სამშენებლო წარმოების მომზადებას საინჟინრო თვალსაზრისით სნ და წ 3.01.01-85 N1 და N2 დებულებების მიხედვით, ასევე გასათვალისწინებელია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება.
ბ. სამუშაოების დაწყების წინ სპეციალისტების მიერ სრულდება ტოპო-გეოდეზიური სამუშაოები შენობების მიბმითა და ღერძების დაჯვალვით.
გ. სამშენებლო - სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას აუცილებელია უსაფრთხოების და ხანძარ საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვა. ამ მიზნით მუშა მოსამსახურეებზე უნდა ჩატარდეს ინსტრუქტაჟი გამოცდების ჩატარებით.

5. სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები

სამშენებლო სამუშაოები იყოფა ორ რიგად, მოსამზადებელი სამუშაოები და ძირითადი სამშენებლო სამუშაოები. ჩვენს შემთხვევაში მიწის ნაჯვეთზე უნდა განთავსდეს ორი (A და B) ბლოკი. სამუშაოების წარმოების წესები და მეთოდები და მშენებლობის რიგითობა და ეტაპები პროექტში წარმოდგენილია ერთ ცალკეულ ბლოკზე, ხოლო ჯალენდარულ გრაფიკში - ცალ-ცალკე ორივე ბლოკზე.

მოსამზადებელი სამუშაოების ციკლი იწყება - სამშენებლო მოედნის მოწესრიგებით:

1). ტერიტორიაზე შესასვლელში შესაბამისი გამაბრთხილებელი ბანერების გაკვრა, დროებითი ღობის და დროებითი შენობის მოწყობა. არსებული შენობების დემონტაჟი. სამშენებლო მასალის დასაწყობება, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებით. დროებითი წყლის გადამყვანების და დროებითი ელ. მომარაგების მოწყობა.
2). შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვადა ძირითადი ღერძების დაფიქსირება.

ძირითადი სამშენებლო სამუშაოები ითვალისწინებს შემდგომ მუშა-პროცესს. კერძოდ:

1).შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოები; შენობა-ნაგებობის ფუძის მოწყობის სამუშაოები; შენობა-ნაგებობის საძირკვლის მოწყობის სამუშაოები;
2).ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე;
3).შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან მაქსიმუმ ყოველ 7.0 მეტრ სიმაღლეზე (სართულების შემთხვევაში - სართულების ჯერადად) ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა;
4).შენობა-ნაგებობის სახურავისა და გადახურვის მოწყობა; არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა;
5).შენობა-ნაგებობის ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა; ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი.
6).შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები;
7).მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები.

შენიშვნა - ყველა ფარული სამუშაოების დასრულება მოხდეს შესაბამისი აქტის შედგენით, საჭიროების შემთხვევაში მოხდეს ფარული სამუშაოების ფოტოფიქსაცია. აქტებზე ხელმომწერი მხარეები - დამკვეთი, მენარდე, ობიექტზე დამოუკიდებელი ზედამხედველი სუბიექტი;
ა). მოცემულ მშენებლობაზე ფარული სამუშაოების აქტები შედგეს შემდეგ ფარულ სამუშაოებზე - მონოლითური სივრცითი კარკასის, მათი კვანძების, კონსტრუქციების არმირების დასრულებაზე მათ დაბეტონებამდე; აქტები იკინძება და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.
ბ). სამუშაოთა წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიების უზრუნველსაყოფად აუცილებელია სამშენებლო მოედნის ალჯურვა ცხრილში ჩამოთვლილი (II თავი) მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარებით.
გ). სამონტაჟო სამუშაოების პროცესში და საინჟინრო ქსელების გაყვანისას სამშენებლო ორგანიზაციამ უნდა განახორციელოს შენობისა და ნაგებობის გეომეტრიული პარამეტრების გეოდეზიური კონტროლი.
დ). მშენებლობის პროცესში სავალდებულოა ტიპიური ფორმების მიხედით შედგეს სამუშაოთა წარმოების ჟურნალი, სადაც აისახება ზემოთ ჩამოთვლილი ეტაპობრივი ქმედება; ასევე ტექნიკური უსაფრთხოების და ტექნიკური ზედამხედველობის ჟურნალები.

6. მშენებლობის განხორციელების პროცესის რიგითობა და ეტაპები

სამშენებლო სამუშაოების პროცესის წარმოების რიგითობის მიხედვით ობიექტზე განისაზღვრა შემდეგი სამშენებლო ეტაპები:

I რიგი - მშენებლობის განხორციელების მოსამზადებელი სამუშაოები:

1). ტერიტორიაზე შესასვლელში შესაბამისი გამაბრთხილებელი ბანერების გაკვრა, დროებითი ღობის და დროებითი შენობის მოწყობა. არსებული შენობების დემონტაჟი. სამშენებლო მასალის დასაწყობება, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებით. დროებითი წყლის გადამყვანების და დროებითი ელ. მომარაგების მოწყობა. (სამშენებლო ვადად განისაზღვრა 50 დღე).
2). შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვადა ძირითადი ღერძების დაფიქსირება. (სამშენებლო ვადად განისაზღვრა 10 დღე).

სულ დადგინდა 2 ერთეული ეტაპი

II რიგი - მშენებლობის განხორციელების ძირითადი სამუშაოები:

1).შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოები; შენობა-ნაგებობის ფუძის მოწყობის სამუშაოები; შენობა-ნაგებობის საძირკვლის მოწყობის სამუშაოები; (სამშენებლო ვადად განისაზღვრა3 თვე)
2).ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე; (სამშენებლო ვადად განისაზღვრა 3 თვე)
3).შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან მაქსიმუმ ყოველ 7.0 მეტრ სიმაღლეზე (სართულების შემთხვევაში - სართულების ჯერადად) ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა; (სამშენებლო ვადად განისაზღვრა 4 თვე)
4).შენობა-ნაგებობის სახურავისა და გადახურვის მოწყობა; არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა; (სამშენებლო ვადად განისაზღვრა 4 თვე)
5).შენობა-ნაგებობის ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა; ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი. (სამშენებლო ვადად განისაზღვრა 3 თვე)
6).შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები; (სამშენებლო ვადად განისაზღვრა 3 თვე)
7).მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები. (სამშენებლო ვადად განისაზღვრა 2 თვე)

სულ დადგინდა 7 ერთეული ეტაპი

განმარტება: მიწის ნაკვეთზე უნდა განთავსდეს ორი (A და B) ბლოკი.

სამუშაოების წარმოების წესები და მეთოდები და მშენებლობის რიგითობა და ეტაპები პროექტში წარმოდგენილია ერთ ცალკეულ ბლოკზე, ხოლო კალენდარულ გრაფიკში - ცალ-ცალკე ორივე ბლოკზე. ერთ ცალკეულ ბლოკზე მშენებლობის ვადის ხანგრძლივობა მოიცავს 18 თვეს. B ბლოკის მშენებლობა უნდა მოხდეს A ბლოკის მშენებლობის დასრულების შემდეგ. შესაბამისად ორივე ბლოკის მშენებლობის ხანგრძლივობა ერთად მოიცავს 36 თვეს.

შენიშვნა: სამშენებლო ეტაპების დასახელებები გადმოტანილი იქნა 255 დადგენილების 20 მუხლში მითითებული დასახელებების იდენტურად.

7. მშენებლობის ხანგრძლივობის დადგენა

სამშენებლო სამუშაოების განგრძლივობისა და სამუშაოების წარმართვის თვალსაზრისით ობიექტის არსებული, არქიტექტურულ - მოცულობითი და კონსტრუქციული გადაწყვეტითი სირთულის მიხედვით მარტივი კატეგორიისაა.

მშენებლობის ხანგრძლივობას ვადგენთ T=24 თვეს

8. უსაფრთხოების ტექნიკა

ა. უცხო ჰირთა, აგრეთვე სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა-მოსამსახურეთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე დაუშვებელია.
ბ. მუშა-მოსამსახურე პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი მშენებლობაზე უსაფრთხოების ტექნიკის უზრუნველყოფის საკითხებზე, ასევე ტარდება გამოცდაც.
გ. სამუშაოთა წარმოების უწყვეტობისათვის და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად ასევე აუცილებელია მშენებლობის აღჭურვა განმარტებით ბარათში მოცემული ცხრილის მიხედვით, მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებით და დანადგარებით.
დ. მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები უნდა იყოს დაცული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე, თანახმად სნ და წ III-4-80 (უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში) და სხვა ნორმატიულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე:
1. სამუშაო ადგილები მუშაობის ჰირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.
2. ადვილად აალებადი სამღებრო, საიზოლაციო და სხვა მასალების, აგრეთვე მომწამლავი ნივთიერებების დღიური რაოდენობა სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ზონაში არ უნდა აღემატებოდეს იმავე დღიური რაოდენობის მოთხოვნილებების შესაბამისობას.
3. მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიურ ჰირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.
4. ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახსტანდარტში 12.1.0.13-88. ელექტრო ჯარადა უნდა იყოს ჩაჯეტილ მდგომარეობაში. ელექტრო ჯაბელები, ელექტრო სადენები და მოწყობილობები ჯი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აჯრძალულია.
5. იჯრძალება ვიბრატორის სხვა ადგილზე გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე. სამუშაოთა შესრულების შემდეგ ვიბრატორი სუფთავდება და მშრალად იწმინდება.

9. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები

ა. მშენებლობის დაწყება დაიშვება ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის შემდეგ. მშენებლობა აუცილებელია განხორციელდეს ბუნების დაცვის და ჰაერის დაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით.
ბ. გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იჯრძალება მრავალწლოვანი ხეებისა და ნარგავების მოჯრა ან განადგურება.
გ. დაუშვებელია არსებულ საკანცელიზაციო ჭებში ბეტონის და სხვა ქიმიური ხსნარების მილსადენებში ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.
დ. საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულებისას ფასადებს ჩამოეფაროს ფარდა, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა სელიტებულ ზონაში.
ე. მშენებლობის დამთავრების ჰერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ღიად ჩამოყრა დაუშვებელია, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა სელიტებულ ზონაში. შენობა უნდა აღიჭურვოს ინვენტარული კონუსური ნაგავგამტარებით, ნაგვის ჩამოცლა ჯი მოხდეს უშუალოდ ავტოთვითმცლელი მანქანების ძარებში.

საქართველო შპს "მეტი" METI 443860680 GEORGIA. "METI" LTD

II - სამშენებლო მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოთხოვნილებათა უწყისი

№	დასახელება	მარკა	რაოდენ. ცალი
1	ძარიანი და სპეცავტოტრანსპორტი სხვადასხვა სამშენებლო ტვირთის შემოსატანად		3
2	თვითმცლელი სამშენებლო ნაგვის გასატანად		2
3	ზედაპირული ვიბრატორი (სამოედნო)	ს-697	2
4	ელექტროშესადუღებელი აპარატი	ჯომპ.	1
5	სხვადასხვა დანიშნულების ხელის მოწყობილობა: ნიჩბები, ბარები, ლომები, წერაქვები და სხვ.		
6	ჰნევმატური ინსტრუმენტი: საბურღი ხრახნდამჭერი და სხვ.		
მითითებები: რეკომენდირებული მანქანა-დანადგარები, ჯერჯერობით ამწე მექანიზმის მონტაჟი ადგილზე არ საჭიროებს			

III - გამოყენებული ლიტერატურა

СНиП	III-4-80	Техника безопасности в строительстве
СНиП	3-02-01-87	Земляные сооружения
СНиП	1-04-03-85	Нормы продолжительности строительства и задела в строительстве предприатий зданий и сооружений
СНиП	3-01-01-85	Организация строительного производства
СНиП	РН-73	Расчетные нормативы

ზესტაფონის ქ. №15
ტელ : 555 34 12 10

დირექტორი	მ. ხარაზიშვილი	83.6
არქიტექტორი	ლ. მასურაშვილი	
დამკვეთი	"ბპ ჯომპანი"	2022 წელი

IV - მშენებლობის წარმოების გრაფიკი

| № | სამუშაოთა ჩამონათვალი | ღღე | I თვე | | | II თვე | | | III თვე | | | IV თვე | | | V თვე | | | VI თვე | | | VII თვე | | | VIII თვე | | | IX თვე | | | X თვე | | | XI თვე | | | XII თვე | | | XIII თვე | | | XIV თვე | | | XV თვე | | | XVI თვე | | | XVII თვე | | | XVIII თვე | | | XIX თვე | | | XX თვე | | | XXI თვე | | | XXII თვე | | | XXIII თვე | | | XIV თვე | | |
|---|---|---



ექსპლიკაცია

1	საპროექტო შენობა
2	ბეტონის მიქსერი
3	სტაციონალური ტუმბო
4	დროებითი ღობე
5	დროებითი ღია საწყობი
6	დროებითი შენობა-ნაგებობა

დირექტორი	მ. ხარაზიშვილი		გვ. 8
არქიტექტორი	ლ. მასურაშვილი		
დამკვეთი	"ბპ კომპანი"		2022

საქართველო შპს "მეტი" METI GEORGIA. "METI" LTD